შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფსიქოლოგის პოზიციაზე

სკოლის შესახებ:

ევროპული სკოლა არის საერთაშორისო CIS აკრედიტებული სკოლა, რომელიც სთავაზობს თავის მოსწავლეებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს - საბავშვო ბაღი, ქართული პროგრამა, IB (PYP / MYP / DP) და ამერიკული უმაღლესი სკოლა.

პოზიციის მიზანი: აღსაზრდელთა სწავლა-სწავლების და პიროვნების ფორმირების პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვის ხელშეწყობა. აღნიშნულ პროცესში წამოჭრილი პრობლემების დასაძლევად საჭირო მუშაობის ჩატარება.

ფუნქცია-მოვალეობები:

- აღსაზრდელებთან დიაგნოსტიკური, საპრევენციო და კორექციულ-განმავითარებელი სამუშაოების ჩატარება, რაც ემსახურება მათი მოტორული, კოგნიტური, სოციალური უნარების განვითარებას და პრობლემების ინტერვენციას;
- საჭიროებებიდან გამომდინარე აღსაზრდელებთან როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური კონსულტაციების და ფსიქოლოგიური საუბრების ჩატარება;
- სხვადასხვა სახის კვლევების ჩატარება აღსაზრდელების უკეთ გაცნობისა და პრობლემის მიზეზის იდენტიფიცირების მიზნით;
- ჩატარებული კვლევების შედეგების და კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გაცნობა პედაგოგებისა, ბაღის დირექციისა და საჭიროების შემთხვევაში მშობლებისა და აღსაზრდელებისთვისაც;
- მშობლებთან და მასწავლებლებთან აქტიური თანამშრომლობა: მათი მომართვის საფუძველზე მოსწავლის სასწავლო ან ქცევითი პრობლემის მიზეზების დადგენა და მშობლის, მასწავლებლის და მოსწავლის დახმარება აღნიშნული პრობლემის დასაძლევად;
- აღსაზრდელებისა და მშობლების, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური კონსულტირება. საჭიროების შემთხვევაში დიაგნოსიტრებისთვის ნეიროგანვითარების ცენტრებში გადამისამართება;
- რეკომენდაციების გაწევა მშობლებისა და მასწავლებლებისთვის მოსწავლის განვითარებასთან დაკავშირებით;
- საჭიროების შემთხვევაში სკოლის ყველა იმ თანამშრომლის და მომსახურე პერსონალის კონსულტირება, ვისაც სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას ურთიერთობა უწევს მოსწავლეებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან;
- თვეში ორჯერ გაწეული საქმიანობის შესახებ უშუალო უფროსის ინფორმირება;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება:

- ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში;
- სასურველია მაგისტრის ხარისხი ფსიქოლოგიაში.

გამოცდილება:

- სკოლის ან ბაღის ფსიქოლოგად მუშაობის მინიმუმ ორწლიანი მუშაობის გამოცდილება.

ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები

• ინგლისური ენის ცოდნა (C1 დონეზე);

- დამატებითი უცხო ენის ცოდნა.

კომპიუტერული პროგრამები:

- Microsoft Office, Outlook

პიროვნული მახასიათებლები:

- პასუხისმგებლობის გრძნობა;
- კომუნიკაბელურობა;
- ორგანიზებულობა;
- პოზიტიურობა;
- ყურადღებიანობა;
- კრეატიულობა;
- ანალიტიკური უნარის ფლობა;
- გუნდური მუშაობის უნარის ფლობა;
- თვითგანვითარებისთვის მზაობა.

დაინტერესების შემთხვევაში, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) 2023 წლის 24 აგვისტომდე ელექტრონული ფოსტის მისამართზე: vacancy@europeanschool.ge

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაგზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის" ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (CV) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაეცემა მესამე პირს.